ლი დამოკიდებულება. შეიარყენ და შეიცვალენ ეკონომიური პირობები, ირყევიან და იცვლებიან მათი შედეგებიც—საზოგადოებრივი ურთიერთობა და წეს-წყობილება. ასე ამბობენ მეცნიერნი, არა ნა—ლნი. ახლა ვითობთ, რა ცვლის და არღვევს თვით ნივთიერ პირობებს? ისტორიას ქმენის, როგორც უნდა იყოს, ადამიანი, რომელიც თავის მოქმედებაში ექვემდებარება ბუნებრივს კანონს განვითარებისას; მკვიდრთა რაოდენობა ამ კანონის ძალით თანდათან იზღდება, იზღებიან და ვითარდებიან მათი ნივთიერი მოთხოვნილებანი და საჭიროებანიც; მათი არსებობა დამყარებულია ამ მოთხოვნილებათა, ასე თუ ისე, დაკმაყოფილებაზე. არსებული ეკონომიური პირობები და წეს-წყობილებანი ცოცხლობენ შეუწყველთ, თუ ისინი არ ელობებიან გზაზე, არ ეწინააღმდეგებიან ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. რა წამშიაც ვინააღმდეგობა თავს იჩენს, ცხოვრებაში იწყება ორი სხვა-და-სხვა თვისების პროცესი: დეზორგანიზაცია—ღარღვევა ძველისა. ჩასახვა და განვითარება ახალი მომდინარეობის პირობებისა და წეს-წყობილებისა. ძველი წეს-წყობილების თანდათანობითი და რაოდენობითი ცვლილების პროცესს თავისი დასასრული, თავისი საზღვარი აქვს. აქ, ამ საზღვარზე ის ჩერდება და უთმობს თავის ალავს მეორეს, ახალ თვისების პროცესს, ქიმიური რეაქციის მსგავსს. აქ ისტორია აკეთებს, როგორც

*) ის. სალიტერ. შენიშვნები. „მოამბე“ № X.



ამბობს ერთი მეცნიერი, ნახტომს: ძველი, დანგრეული წეს-წყობილების ელემენტებისაგან შენდება ახალი. ისტორიაში იწყება ახალი ხანა. სწორეთ ამჯავრი თვისების პროცესს — ძველის, საშუალო სა-უკუნეთა ფეოდალურ წეს-წყობილების დანგრევისას და ახალის დამყარებისას — ევროპაში ჰქონდა ალა-გი გასულ საუკუნის ბოლოს, ჩვენი კი მდგომარე საუკუნის მესამეც წლებში, იქ, ევროპაში, ეს მოვლენა აღინიშნა დიდი რევოლუციით, ჩვენი კი რევოლუციას დაასწრა ზევით პოლიტიკაში მომხდარმა რევოლუციამ.

ამ ნიართ ჩვენი ცხოვრებაც დაადგა წარმატების ახალ გზას, მან მოიმჯვრა კიდევ უფრო ამ გზაზე, მაგრამ ცხოვრების ახალ ვითარებას, აუცილებლათ ახალი განსაკუთრებული თვისება და მიღრეკილება უნდა ჰქონდა — უამისოთ როგორ უნდა გაირჩეს ახალი დაძველებულ-დახსებულისაგან? ცოცხალი მკედრისაგან? რა საშუალება, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ შევიერთო; რა თვისებისა, ხასიათისა და მიღრეკილებისაა ჩვენი ცხოვრების ახალი ვითარება?

ეს საკითხი და მისი, ასე თუ ისე გადაჭრა ჩვენ მიგვიანდა აუცილებელ საქირებათ. რატომ? იმიტომ, ვეჭვობთ ჩვენ ცოდეის შეილები, რომ ცხოვრების ვითარება დაყრდნობილია შურუყველ ბუნებრივ კანონებზე. ამ კანონის და აქედან საზოგადოებრივ მოვლენათა დამორჩილება. მათი მიღრეკილების თვისი სურვილისამებრ რყევად-რცავა, ამბობენ მეცნიერნი, აღვმატება ადამიანის ძალ-ღონეს. ამისთვის ყოველი შეგნებული საზოგადო მოღვაწე თვით ემორჩილება ამ კანონს, იცვლეს მის ბუნებას და ხასიათს და ამის დაგვარათ მოქმედობს თავისი მიზნის მისაღწევათ. უამისოთ ყოველი შრომა ადამიანისა, როგორც უნდა იყოს მისი იდელო და სურვილი, საშუალება და ენერჯია, უწყყოფოთ ჩაივლის. მიზანს ევრ მაალწება. ახლა ეკითხოთ: თუ კი განათლებულ ევროპიელ ერთა ამ ბოლო დრომდის ევრ შეიგნეს ეს ცხოვრების კანონი და აქედან თავიანთი ყოფა-ცხოვრების მიღრეკილება, შეგვიძლია ჩვენ თუ არა, ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით, სხვის დაუხმარებლათ, შევიგნოთ — საითკენ აქვს მოღრეკილი ყველა ჩვენი ცხოვრების ახალ მიმდინარეობას, როცა მისი პროცესი ჯერ არ დამთავრებულა? — „არა, არ შეგვიძლია!“ — კანდიერება აქვს იფიქროს ახალგაზნდობის იმ ნაწილს, რომლის საუკეთესო წარმომადგენელიც იყო ევ. ნინოშვილი, რითაც წაუშოველ ცოდეის ჩადის ეს ახალგაზნდობა ჩვენი ბრმა პატრიოტების წინაშე.

ამ თაობის წარმომადგენელთ კარგათ იციან,

რომ თითოეული ერის ცხოვრება შექმედდება საზოგადო კანონის ისტორიული განვითარებისას ისიც იციან და ნათლთ ხედვენ, თუ როგორ ირ-ღვევა ჩვენი ძველი პატრიარქალური კარ-ჩაკეტოლობა, როგორ შემოკლდა სიერცე, დაფუნდა მტკიცე კავშირი და ურთიერთური შე-გავლენა სხვა-და-სხვა ერთა შორის. ეს იყო მიზეზი, თუ რათ ვაპყურებდა ევ, ნინოშვილი დასავლეთ განათლებულ სა-ხელმწიფოთა ყოფა-ცხოვრების ახალ-მიმდინარეობას. მას კარგათ ესმოდა, რომ ჩვენი-სთანაა პაწაწინა ევრ აცდება დიდ ერთა შორის მოვლენულ ცვლილებათა და მიმდინარეობათა ნაშენეს. მან შეუგნო კიდევ თავი ამ მიმდინარეობის ერთს ნაწყვეტს, რომელიც ჩუმათ, თითქოს, ფარულათ დგამს ფუხს ჩვენი ცხოვრებაში“ („კვალი“, № 22). დაიხ, ევნატეს კარგათ ესმოდა ეს. ამ ქვეშაირებამდის ის მიიყვანა ჩვენი და ევროპის ცხოვრების უტყუარ ფაქტების შესწავლამ, რასაც აკრე უხერხულათ გაუჩრბის თბილი ოთახიდან გამომკეცრალი ნა—ლი. ამ ფაქტების შესწავლას შემდეგ ნინოშვილმა მიმართა ევრეთ წოდებულს „შედარებითი მეთოდს“ თავის მიზნის მისაღწევათ—ზემოთ დამსული საკითხაეების გადასაჭრელათ, რას გვეუბნება, — დადგინა მან ახალი საკითხები—ეს ფაქტები? ნუ თუ ჩვენ და ევროპიელთა ცხოვრების მიმდინარეობათა შორის არა არის რა სავრთო? და თუ კია, რაში უნდა ვეძებდეთ ამ ერთობას? ამ საშუალებამ დაანახუა ნინოშვილს ეს ერთობა ერთ და იმავე თვისებისა და მიღრეკილების ნიეთერ პირობებში და მათგან გამოწვეულ ეკონომიურ ურთიერთობაში. მართლაც, მარტო სიბრძნევს შეუძლია არ დაგვანახოს ის ქვეშაირებება, რომ ჩვენი ცხოვრებაც იმავე გზას დაადგა, რომელიც უკვე გათლეს დაწინაურებულ ერებმა. აქ, როგორც ამბობს მარქსი — უმაღლეს და უმდაბლეს განვითარების ხარისზე კი არ არის საქმეო, რომელიც კაპიტალისტურ წარმ-ების ბუნებრივ კანონებისაგან წარმოადგებიანო, საქმე თვით ამ კანონებშია, მათ მიმართებაში, რომელიც რკინის გულსავით შეუბრალელობათ მოქმედებენო. აი, ეს ტუნჯნცია, ეს თვისება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისა გვექნდა ჩვენ მხედველობაში და არა მისი განვითარების რაოდენობა: ევროპაში კარგი ხანია ერის ახალი ვითარების პირობებმა მიიმაგრეს ფეხი, ჩვენში კი, როგორც შევაიცი ვთქვით, ბევრათ გვიან; ამისთვის იქ—ევროპაში, ამ ვითარების პროცესსა შოგამა კიდევ დაათავა ზდა, ჩვენში კი ახალი ფუნ-ღამულობა. ეს შენდებლობა ჩვენ საქმათ გვექნდა გატარებული ჩვენს ზედ-ქრულ „სიტყვაში“. იქ ვამ-

ბობდით: „ამ ახალმა ბატონ ყმობამ, კარგა ხანია, დამათყარა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია.

ჩვენში კი, თუმცა ახალი დამადებულა, ბავშვია, მაგრამ ეს ბავში საუცხოოვო თვისებისაა,—შესანიშნავი სისწრაფით იცის ზრდა...“

რათ არ შეგებთ, ბ-ნო ნა—ლო, ამ ადგილს? თუ აქ გამოთქმულ აზრს არ ეთანხმება ჩვენი დასკვნა, რომელსაც აგრე მოწინავეთი ჩაუტყუნიხართ თქვენი თაგმოყვარე კბილებით, რატომ არ გამოაშკარავეთ ეკ ლოლიკური წინააღმდეგობა? პირველათ იმითომ, რომ თქვენ, როგორც ერთგულმა დარაჯმა ძველი ბატონ-ყმობისა, ვერ შენგულეთ მესამე დასის შემოპარავთ თქვენს სამწყსოში,—როგორ მოიმაგრა ფეხი მის ძველ ბატონ-ყმობის ნანგრევზე ახალმა წეს-წყობილებამ, ახალმა ბატონ-ყმობამ. ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, ევრაფერი კრატკის სახელის დომსახურებთ ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც კარგათ ამჩნევს ამ ახალ მოვლენას. მესამე მიზეზიც შეიძლება აქ ევგულისხმით: —შეიძლება თქვენც ამჩნევდეთ ამ ახალ ფენადგმულ მოვლენას, ამ „ბავშვს“, მაგრამ რუსების ეგრეთ წოდებული „ნაოლინიკებისაგით“ ფუკობდეთ: „ეს ბავშვი სულ სხვა გზას დაადგება“. აქ, ბ-ნო ნა—ლო, თქვენ იძულებული იქნებით იმობღვროთ: „ბავში სულ სხვა ბუნებისა და ტანისა, ეინემ ზრდადამათყრებული, ე. ი. —შედარებით რომ ეთქვათ —პატარა ვანო სულ სხვა ტანისა და ბუნებისა, ეინემ ზრდა დამათყრებული ივანე. ასეთი ლოლიკური წინააღმდეგობის ძეგში ვაგტუარკათ თქვენ თქვენმა უმართებულო ჩვეულებამ—ნაწერიდან უკაშროთ ამოვლენილი ფრაზებისა, მაგრამ ენახათ ეს თქვენგნით დაწინაწილი ფრაზებიც.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან, მკითხველი მიხედება, რა გეკონდა ჩვენ მხედველობაში, როცა ევამბობდით: „ამნაირათ ჩვენი აწინდელი ცხოვრება წაჩმობადკენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მართი—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით —მუქთა ხორა ბურჭულა—კაბიტალისტები. პირველათ ხედვლია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეტა კი —დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი, კარგა ხანია, ჩატყნობილია“...

ჩვენ გვიწოდდა ამით გვეთქვა ის, რასაც ასე მჭევრ-მეტყველურათ ამბობენ ცოცხალი ფაქტები ჩვენში ცხოვრებისა, რაც აგრე ერთლათ და მცენიერულათ აქვს გამოარკვეული ბ-ნ ნ. ჭორბანაის

„მოამბე“ (№ 5, 6) და ბ. პეტრიძეს „კვალში“. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეს 20—25 წელიწადია შედგა ფეხი ახალ ხანაში, რომ ჩვენმა ერმა როგორც ამბობს ბ-ნ ჭორბანაი, „შუვე გაყარათვი კაბიტალიზმის კხარკში“, რომ ამ ახალ ხანას ახასიათებს ახალი შინაარსისა და ფორმის ეკონომიურა ურთიერთობა. რაში იხატება ეს ურთიერთობა, ან რა სახელი ჰქვია მას?—ეკითხება ბ-ნ ნა—ლოს, მესამე დასის წარმომადგენელი („კვალში“ № 33). „ეკონომიურა ურთიერთობაში, ეკონომიურა ურთიერთობაში“, —უპასუხებს ნა—ლი („მოამბე“, № 5, 10) და მით აუწყებს ქვეყნიერობას: „მოდით, მნახეთ, რა უმეცარი მეცნიერი ვარა“. მაგრამ სულგძელი პეტრიძე —შეურთავებელი მტერი უმეცრებისა—მანც არ კარგავს იმდელ ნათელი ჰენოს, უტყუარ გზაზე დააყენოს ბედიაგოური რიქი უსნის: ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეოა“. ისწავლიდა მკითხველო, ბ-ნი ნა—ლი თუ ეკრა? პირიქით საშინელი უმადლობა გამოიჩინა თავისი გულგვითი მასწავლებლის წინააღმდეგ. როცა პეტრიძემ მეცნიერულათ დაუმტკიცა თავის ჯოტე შეგირდს ის ქეშმარიტება, რომ აწინდელი ეკონომიურა ურთიერთობა აღებმეცემობას მოასწავებსო, აი, რა ზრდილობით მიუგო ნა—ლომა: „აქ ეეროპის მავალით რა მოსატანი იყო, ბ-ნ პეტრიძეს რომ თუთიყუშით არ გავზებრიგებინოს შემდეგი ფრაზა: „ერთგვარ მიზეზებს მოდევნ ერთგვარი შედეგებია“, („მოამბე“ № X), მაგრამ ამასაც არ ჯერობდა. ნა—ლი იმდენათ დაუთერია თავ-მოყვარეობას, რომ ასე ვამჩნევთ, ლოლიკასაც კი ებლაუტება: მოდი ერთი ჩემს ძალათ-მაცხონე პედაგოგს „ოკინკალა“ ვაუკეთო, ყირამალაზე გადმოვტარილო და შიგ ლოლიკური წინააღმდეგობის ეკლარში ვატუტეოთათვიო. ოპ, sancta simplicitas!

ახლა ეკითხოთ: რათ აწინებს ბ-ნ ნა—ლოს ეს კაბიტალისტური წეს-წყობილება აგრე მწარეთ? რა არის ამის მიზეზი? ეფიქრობთ, იგივე გულგუბრევილობა, იგივე უცეკობა ამ წეს-წყობილების „ბუნებისა“ და იმ მეცნიერებისა, რომლის აწინაის ამოკითხვას აგრე მოწყალეობანი კილოთი ურჩევს მესაღდას. შეიძლება ბ-ნ ნა—ლოს, როგორც მადლიერის და კეთილშობილს შერის თავისი კეთილშობილი წოდებისას, ახაფრათ ებრძნებოდეს ეს დაუპატრებელი სტუმარი, რომელიც აგრე შეუზრალელობათ უთხრის ძირს ბრწყინვალე წოდებას; შეიძლება ეფიქრობდეს ამ დაუძინებელი მტრის დათრგუნვას თავის ძლიერ-მოსილი კვერთხით. დაიხ; ეს საფიქრებელია, როგორც შევითაც ეთქვით, მაგრამ

მაშინ როგორ უნდა შეურიგოთ და შევათანზმოთ ამ გარემოებას „მოამბის“ შემდეგი ლიბერალური მოსაზრებანი, რასაც ავრე თავ-გამოდებული ესაჩილება ბანი ნა—ლი: ჩვენი ბედის, ჩვენი მომავლის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე (გულისხმეთ ეკონომიური ურთიერთობა, ანუ ჩვენებურათ ალბ-მიცემობა) ფაოიონის თასს* („მოამბე“ № 1). ძალიან კარგს იქმენ „მოამბე“ და მისი ნაფიცი ემედილი, რომ უკანვე დაიბრუნებდენ თავიანთს „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ № (10), რადგანაც მათი რეპუტაციონური, კონსტრუქციული და ლიბერალური მოსაზრებანი ისე დამაბლიგით არიან ერთმანეთში არეულნი, რომ თვით ეშმაკსაც კი შეუძლია დაბტვირის შოგ თავისი ეშმაკური ფეხები. მაგ ბანი ნა—ლი და მისი მოსაჩრლე ივერილი ე, წ. (№ 261. „ივერია“) არ ჰყოფენ უარს, რომ კამბე-ღიშმა პროგრესული მოვლენაა. ხოლო ეს ბატონი პროგრესი, მათი აზრით, შორს, სადაც ცის სიფრცესში, შეიძლება იუპიტერზე ან ნებტუნზე დაიბადება, იქვე აიღვამს ფეხს, იქვე გაიზრდებ, „უზარმაზარ ქარხნათ გაღიქტევა და შემდეგ... შემდეგ ყოვლად მოწყალებ ზეცა გაიხსნის თავის მოწყალებ მკერდს და გადმოუშვებს თავის ზრდა-დამთავრებულს შობილს— ბატონ პროგრესს— ჩვენს უძლურ სამშობლოში. ქარხნას მოჰყვება, რა თქმა უნდა, შესაფერი ბუნების „პასაჟირებიტ“—მკდრეითი ამდგარნი, კაპიტალისტებთა ვადაბლისებულნი, ლუარხანანი თავიანთი ყმებით—პროლეტარიებით.

საზოგადოთ ბანი ნა—ლის ძალიან აბრუნდ-ბაბრუნდათ უნდა ესმოდეს კაპიტალისტური წეს წყობილება. ჩვენის აზრით კი, ეს წეს წყობილება მოასწავებს აწინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც დაყრდნობილია საქონლის წარმოებაზე. სიტყვა კი, მაქონელი ნიშნავს ყველა შრომის ნაყოფს, რომელიც უნდა გაიაროს ალბ-მიცემობის ჭახრაცში, მიუხედავთ იმისა, გამოვიდა ეს ნაყოფი ქარხნის კარებიდან, თუ ტყიდან, დღე მიწის გულიდან, თუ მიწის ზედაპირიდან. მარქსი, რომელმაც მეცნიერულათ გამოიკვლია კაპიტალისტური წეს წყობილების ჩასახვა, განვითარება და მოსაბობა, ამბობს: „კაპიტალისტური წარმოება არის საქონლის წარმოება, როგორც საზოგადო ფორმა წარმოებისა“. *) „კაპიტალიზმი“ — როგორც აზობს ერთი რუსების მარქსისტი, — შეიცავს ორ შემცვენებას: ერთა უფრო ფართო და ნიშნავს საზოგადოთ საქონლის წარმოებას, მეორე — ეიწრო და ნიშნავს ამ წარმოების ვა-

ნეითარების უკანასკნელ ფაზისს, ანუ „სხიელს წარმოებას“ (крупная промышленность).

ასე გვესმის ჩვენ კაპიტალისტური წეს წყობილება. ახლა წავიმძღვანოთ წინ ეს შეხედულობა და ვიკითხოთ: მართლა ნებტუნ-იუპიტერზე იბადება, იზრდება ჩვეთის კაპიტალისტური წეს წყობილება, თუ თვით ჩვენს ცოდვილ ქვეყანაშიაც იბადება მისთვის ნიადაგი?

ჩვენ ვთქვით: ახალე-ყოფელი ძალი ახალი ხანისა გამოჩნატება ახალი შინაარსის ეკონომიურს ურთიერთობაში. ისიც ვთქვით, რომ ეს ურთიერთობა აღმოცენდა იმევე ნიადაგზე. როგორზედაც აღიზარდა და მომწიფდა ევროპის აწინდელი წეს წყობილება — ეს შრომის განაწილება და ახალი სახის წარმოება. წარმოება მარქსის აზრით (ჩვენი ივერიელი და მოამბელი მარქსები არ იფიქრებ), ის დღედაძობია, რომელიც არცევეს ძველს და მის ნაწვრევებზე აწეწებს ახალს ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იურიდიულს ურთიერთობათა. ამ ძველი წეს წყობილების დამარღვეველ და ახლის დამფუძნებელ პროცესზე ჩვენ გვქონდა ზევით ლაპარაკი. ამ პროცესმა დაანარჩა, როგორც ევროპის ერთა, ისე ჩვენი პატრიარქალური კარ-ხაყეტილობა, გათხარა მთა-გორები, ააყილა მამინები, დაქსანა ტელეგრაფების მართლები, გადაჯაჭვა ეკონომიური ჯაჭვით სხვა-დასხვა ერები, მეთაქვლა სიერცი და დრო. ამ პროცესმა დამატრია ის ისტორიული ბორკილი, რომლის რგოლებში სულს დაფავდა ხალხი საუკუნოთა განმავლობაში. ბატონ-ყობა—ეს მწარე შედეგი მწარე ისტორიული მიზეზისა-გაქტა. ისტორიის უფარვისი ნაყოფი ისტორიისვე ჩაბარდა, ხალხი განთავისუფლდა. ბნელითის სამეგობელოდან მან ამოჰყო თავი სინათლეში. თვალები ამოიფშენიტა, დაბრუნებულნი ფეხები გაიმორჯვა, ცნობიერებაში მოვიდა, სიხარულის ცრემლებმა იხეთქა და ლაწი მოხანა. მაგრამ... მაგრამ ხან-მოკლე იყო ეს სიხარული. ახალ ხანას თან დაჰყვა ახალი უცრობი კითხვები: რა ვაკეთოთ? როგორ ვაკეთოთ? ხალხისთვის ეს სამკვიდრო-სასიკოცლო კითხვები წინათ მერე ბარგი იყო. ის აკეთებდა მას, რასაც უბძანებდენ, ისე, როგორც უჩვენებდენ. თაოსნობა, მსჯელობა და მოფიქრება, თავისი აზრ და შეხედულობა საგანზე—ეს ბატონ-პატრონის უდავო საკუთრება; გღენს იმავე სამსახურს უწეოდენ, როგორსაც დღეს ჯარის ცაცხ, გღენი წარმოადგენდა იარაღს სხვის ზელში და არა შეგნებულ პიროვნებას. ახალმა ეითარებამ განათავისუფლა ის ბატონის სულთა-მხოთავ მფარეგლობისაგან, დაუბრუნა მას

*) Капиталъ К. Маркса, т. II, глѣрди 72.

დაკარგული მასალა ქუეყანების საზრდოებისა, წაუწურულა ყურში მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვებით: „რაც გინდა, როგორც გინდა“ — და გაუშვა ოთხ-კუთხეი.

აი, სად იმალება სათავე აწინდელი ცხოვრების ვითარებისა! კერძო თაოსნობა, ინდივიდუალიზმი, აი თანამგზავრი აწინდელი წარმოებისა — აღებ მიცემობისა. გლეხი ბატონიდან იურიდიულად განთავისუფლებული, მაგრამ მის მამულზე დასახლებული, თავის ნებაზე მიშვებული, გლეხი, რომლის საკუთარს მოთხოვნილებას მრავალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო, საბატონო და სხ. გადასახადი მოემატა, როგორ უნდა გაძლიერდა ამ ახალ რთულ საქმეს? ცხოვრება ამ არაის, ნა — ლსაც კი არ ჰკითხა, ისე თავისებურად ვადაჭრა და ქრის ამ საკითხს. საქორა მხოლოდ თვალ-ყური ვადევნოთ, როგორ ჰყუწავს ის თავისი ბასრი ანატომიური დანით ძველს და აშენებს ახალს. მკითხველი კარგად ხედავს ამ უღრმბელი დოსტაქრის მოქმედების ნაყოფს, ხედავს, რა სახის ბრძოლა დაბადა მან თვით-არსებობისათვის. მაგრამ ბრძოლას ხომ გამარჯვება უნდა მოჰყვეს ერთის — უფრო ღონიერის და დამარცხებულ მგორის — სუსტისა და უძლურის. აქედან იწყება გლეხთა დიფფერენციალი — მათი განაწილება. აქედან იჩენენ თავს ერთის მხრით „უიშვილები“ და „სიმონები“, მეორე მხრით „ღრიძეები“ და ხრიკიანი „მოსე მწერლები“. ერთისთვის ამ ბრძოლას დაუსვამს დამარცხების დალი, მეორე გაუამაყებია, ღლარასხავეთ ჩუკურატება, ერთი გაუმდიდრებია, მეორე გაუდატაკებია. ამ სოფლის, როგორც დაბა ქალაქების ბობოლა ვაჭრებს, ჩარჩებს, რომელმაც მრავლობით იგდეს ხელში ოქრო-ვერცხლი — ეს უუძლიერესი იარაღი აწინდელი ბრძოლისა, მამულ-დედული — არამც თუ მართო დამარცხებული გლეხებისა, თვით ბრწყინვალე წოდებასაც კი — ჩვენ ეუწოდეთ მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. ჩვენ ვფიქრობდით და დღესაც მიუხედავად ბნ. ნა — ლის მუქარისა, ვფიქრობთ, რომ ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანისა, მისი სპეციფიკური თვისება იმ გარემოებაში იხატება, რომ როგორც დაბა-ქალაქებში, ისე სოფლებშიაც იხატება სავაზო კაპიტალი (თანხა), რომ ერთი მხრით ეს თანხა და მეორე მხრით — ღარიბი გლეხის ხელი-

დან შრომის იარაღის, მამულის, გამოცემა — შეადგენენ *conditio sine qua non* სამრეწველო თანხას, *) რომ ეს მოვლენა ჩვენში დღე-დღეზე ვითარდება და ამით ნიადაგი ეწმინდება უმაღლესს ფაზის კაპიტალიზმის განვითარებისას.

დაიხ, ჩვენ ასე ვფიქრობდით, მაგრამ ჩვენს მარქსს არაფრით ევაშნიკა ეს შეხედულობა და გვიციენა: „ალბათ, რაღაც გაუგანი — შეუტყავით, რამე ევროპაში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს და რაკი მიღიარო და ღარიბი იპოვეს ჩვენ შორის, ჩვენშიაც იგივე წეს-წყობილება უნდა ეივულისხმებოდეს“ (№ X).

წარეთ ასეთია, ბნ-ო ნა — ლო, ჩვენი აზრი, რამდენიც უნდა იქარბუქოთ, ჩვენ მინც ჩვენსას არ მოვიწიოთ და პეტრიძესთან ერთად განვიგოვრებთ, რომ „ერთ გვარ მოვხვებს მოდევნ ერთგვარი შედეგები“, რომ მოვხვები, რომელმაც აგრე ააყვავა ევროპაში კაპიტალისტური წეს-წყობილება, ჩვენშიაც არსებობენ, ხოლო ვიმეორებთ, მათ შედეგებს აქ ჯერ არ გაუშლია თავისი ღონიერი ფრთები. ბნ-ო ნა — ლო, ას სიმდიდრე და სიღარიბე, რომელიც, ცოტათ თუ ბევრათ, თქვენც კი შეგიჩნევიათ ჩვენს ცხოვრებაში თქვენი კაპიტალიდან, განა შესაძლებელი იყო, ბატონ-ყმობის დროს? იმ დროს, როცა გლეხების შრომა აგრე შემბორკილ-შებოკილი იყო, როცა ეს შრომა და მისი ნაყოფი სხვის — ბატონის საკუთრებას შეადგენდა — განა შესაძლებელი იყო მათი — გლეხების აგრე უსწორ-მასწორათ განაწილება? — არა, პატივცემულო მეცნიერო, ეს სულ ახალი მოვლენაა — ნაყოფი ჩვენი ახალი ვითარებისა. ამისთვის ამ ახალ მოვლენას ჩვენ სახელსაც ახალს ვაძლევთ. თქვენგან სასაცილოთ აკდებულმა „მესამე დასმა“ კარგი ხანია აუწყა ჩვენს საზოგადოებას ეს ქეშმარიტება. ეგ, რა ახლო გიძებს ეს ქეშმარიტება! მიიხედეთ, ბნ-ო ნა — ლო, იქ თქვენი საწერი მაგიდის კუთხისაკენ, მარჯვნივ; მაგრამ თქვენ გაგიტაცათ, ალბათ, გარეგანმა სილამაზემ და შინაგანი სილამაზე კი დაგავიწყდათ.

ს. ჯეზაძე

(შედეგ ექვან)

*) იხ. „Капиталъ“, ტ. I, თავი VI.

ს ვ ი მ ო ნ ხ ე ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

V

შედეგი *)

სიმონ მეფე თავის ამალით განქარებულ მიწისწაფიდა. საქართველოს საზღვრებზე რომ მივიდა, აღჭარალას ჩამოხტა. ციხის ეზოში მეფეს რამდენიმე ოთახი დაუთმეს. იქ ჩამოხადეს ბარგი. სვიმონმა ტანთ გამოიცვალა, ვადიცვა ახალუხი და ისე წამოწვა ტახტზე. უალიონი ედგა წინ, დალალოლბოა ეტყობოდა სახეზე. ამალიდან ორიოდ კაცი იყო იმასთან, სხეები ეზოში და სხვა ოთახებში დაბინავდნ.

— ეტყობა, ტყვეობამ და დარღმა გამტეხეს, რომ გზა ვეღარ ამიტანია. თავის დღეში დალაღვა და ავათყოლობა არ ეცოდო, ახლა-კი... კარჯია კიდევ, ჩემ სამეფოს საზღვრებს მოვალწე! ციხისთავი რატომ არ მგახლებდა? აცნობეთ ჩემი მოსვლა?—თქვა სიმონმა.

— ბატონო, ციხისთავის ნახვა და ყველა სარისტა არჩილმა იკისრა, ის მოვაგონებთ ყველაფერს, უთხრა მსლებელმა.

ზედლატარებაზე შემოვიდა არჩილ მუხრან ბატონიშვილი.

— ცხენები და ბარგი კარგათ დაგვიბინავეს, ძალიან პატივცემითაც გვეტყვიან, მაგრამ ციხისთავი კი არ გვეჩვენება, თუმცა ყაენის ბძანება შეუღზავენ. შემოუთვლია ავთა ვარო. ტყუს! კარგათ არის, ცბიერობს. ნეტა სპარსელების რაზმი ჯერ კიდევ არ დაგებრუნებინათ.

— როგორ თუ არ გვეჩვენება? მაშნ შპის ბძანებასაც ეწინააღმდეგება? მე მოვინანებ მაკას კადნიერებას, არ მოკედეს სვიმონ მეფე! თქვა სვიმონმა და წამოიწია.

— ბატონო, აჩქარებითა სოფელი არვის არ მოუტყაია, მიუფო არჩილმა.

— მაგრამ არა! მართალს ამბობ, მოთმინება ჯობია. სანამ ნიშნ არ გამოვიჩნენ, მანამ ჩემ ძალას არ ეუჭვენებ. ყველა იქით შემომხედავს, ყველა სიფრთხილით მოშექცევა. რა იციან, დამჩრება თუ არა გამარჯვება? სპარსების რაზმი კი... არა, ჩემო არჩილ, მე ახლა ჩემ სამეფოში ვარ, იმედი მაქვს ჩემი საყუთარი ძალით დავიპყრო სამციქიდრო, — მიუფო სვიმონმა. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, თან მარჯვენა უღევსზე ეკიდა ხელი.

— არჩილ! ჩვენებმა ისეე აისხან იარაღი, ფხიზლათ იყვენ. ყარაულები დაყენეთ გარეთ კარს. ფხიზლათ იყავით, პატივისცემით კი მოექცეთ ყველას, ბძანა სვიმონმა.

— ბატონი ბძანდებით, მიუფო არჩილმა და გავიდა.

— ბატონო მეფე! განა თქვენი გამოცდილი თვალი საეკუოს ხედავს რასმე? მაშნ გვიბძანეთ, ჩვენც იარაღს ავისხამთ, აქაც თავდარის დაევიკრთ, მოახსენეს მსლებლებმა.

— ეგრე ემჯობინება, მიუფო სვიმონმა. ჩენ ისეთ გარემოებაში ვართ, რომ ძალიან წინდახედვით უნდა ვიქცოდეთ. ჯერ ყაენის ფირმანის მეტი ძალა ხომ არა არის რა ჩვენ ხელში. დაუთხანის, ან იმის მომხრეების ერთი მარჯვე ნაბიჯი და ჩენი დალაღვა ერთია. სწორეთ ესა მქონდა აზრათ, კაცი რომ დაეწინაურე და ეუბძანე ბართაშვილი მოგვებებოდა. გუშინ, გუშინ წინ უნდა შემოგვეყოდა ვახუე. ნეტა,....

ამ ლაპარაკში იყო მეფე, როცა გაიღო კარი და შემოვიდა საჩინო მთლათ შეიარაღებული კაცი, დააკერდა სვიმონს და დაიძახა:

— ბატონო მეფე! ბატონო სვიმონ! საქართველო სიმედო. მერე მიუახლოვდა, ცდილობდა ხელზე ეკოცნა. სვიმონი თითონ წამოჯდა და ვადეხნია ბართაშვილს.

— საჩინო, ჩემო ერთგულო, ჩემის სამეფო ტახტის ბურჯო! მართო შენ ხარ, რომ გაჭირებიაში არ დაგეტოკებია. ძნელათ ვაღსახადი სიკეთე დამდე.

— მე ჩემ ვალს ვასრულებ ჩემი ხემწიფის წინ. ნუ ჰქუხართ, სხეებიც არიან ერთგულები, ახლა თქვენ რომ თავისუფალი გნახეთ, მითომ გათავისუფლებული მამული მინახავს. რა გეხარდება თქვენი სახლობს! როგორ აღტყვებაში იყო მთელი საქართველო! თქვენი წყალობით სხვა ტყვეებიც გათავისუფლებულან, სამშობლოს დაპზრუნებიან, თქვა საჩინომ. მერე მიბრუნდა და ყველა იქ მყოფი გადააკოცნა.

მოკითხვა რომ გაათავეს და დასდენ, საჩინომ ისეე დაიწყა:

— მოვიდა თუ არა თქვენი კაცი, მაშინვე დელათთან მახარობელი ვაფრინე. მე კი აქეთ გამოვეშურე. მახარობლათ ათბავის ძმა მანუჩარი გვეგზავნე. მანუჩარი სტუმრათ იყო ჩემთან და კარგ შემთხვევა არ დავკარგე. მე ვიცი, არ განხარადებოდა! დედლოვლიც, ბატონიშვილებიც კარგათ არიან. ის იყო ემშახლებოდი კეთიხებს იმათ წამოსაყვანათ, რადგან ფიქრი მქონდა იმით.

— მადლობა ღმერთს, მშენილობით ყოფილან!

*) იხილეთ „სველი“ № 12

კაცო, მანუჩარი გვეგზავნეო, განა ჩენია მანუჩარი? ჰკითხა გაკვირებულმა მეფემ.

— მანუჩარი ცხველმოყვარელი ჯაჭვით არის თქვენ სამეფო სახლთან შექცეული. მთლათ საიმედოა... მე დაწვინაურდი, რაზმიც საცაა მოვა. ახ, ბატონო, ბატონო, რა ცუდ ღროს გვიღალატა მაშინ ზედმა!

— მართალს ამბობ. სამეფო თითქმის გათავისუფლებული მყავდა მტრისაგან. ეამბობდი, ახლა კი შევეუდგები-მეთქი თამარის ანდერძის ასრულებას. ახლა გავრთებულნი და ძლიერი სამეფო მეკრებო-და ხელში, რომ ფარცხისის ომში ყოვლანაშეგელს არ ეღალატა.

— მაშინ ბრძოლაში ერთობ წინ წაიწიეთ, ბატონო; სულ სამოცამდის კაცი ძლიერ მოგყევით, ჩაერთა ლაპარაკში ერთი, რომელიც სვიმონთან დაეცემებოხით მაშინ სპარსებს.

— დაეით აღმაშენებლის და თამარის ანდერძი მაინც თქვენ უნდა ასრულოთ. ჯერ წასული არ არის დრო. თქვენ სიზმნეს ახლა დიდი გამოკდილება მიემატა. ყოვლანაშეილი კი იუღდს კერძი იყო და ისეც მოეღო ბოლო.

— როგორ, ყოვლანაშეილი აღარ არის?-ჰკითხა მეფემ.

— გულყიანახის ხეგზია დათხულები იმისი სისხლი. კოჯრიდან მოვიდოდი. ენახოთ ყოვლანაშეილი შემომყვარა გზაზეთ. მაშინვე დავაჭერინე, ხეგზი გადავგდებინე, თან მივაძახე: თუ მეფისა და ქვეყნის გაცემა კეთილი საქმეა, აჰა, ნახე! ის რომ ხეგზი გადაამსხრიეს ბიჭებმა, თითოთი მღვრიით წამოვიდნენ: „ყოვლანაშეილი ქარაფინდა, ხელი ჰკრებს და გდაფრინდა“. მერე ხომ სოფლებშიც მღვროდენ ამას, თქვა საჩინომ.

— ძალდი იყო, ძალღურთი სიკვდილიც რგებია, თქვენ მსლებლებმა.

— ღირსი იყო! კარგია, უჩემოთ დავისჯია, იმისი პატიობა არ შეიძლებადა. სხვებს კი არ მინდა ჯაგერში ჩაუდგე: ვინც ისე ჩემკენ გადმოვა, მივიღებ, ყველაფერს შევუნდაბ.

— მეფური სიტყვაა. მოყვრები გვეპირდება, მტრებს ნუ გავმარალებთ. თქვა საჩინომ და შეყოყმანდა; უნდადა ახლვე ეამზნა ბარძიმი ამილახვარის და ელიზბარ ქსნის ერისთავისაგან ჩადენილი აეზაქობა, ეთხონენა ლმობიერ თ მ-აპყრობოდა იმათ, მაგრამ თანაც ეწინოდა, მეფეს ძალიან არ ეწყინოს, არ გარისხდესო; იცოდა იმისი შეუკავებელი ხასიათი. ამ მდგომარეობიდან საჩინო, სიმღერის ხმამ გამოიყვანა, რომელიც გარედან მოისმა. გულუნი ახლოვდებოდა. ბოლოს გაისმა კიჲინა:

— სე-მონ მეფე! გაუმარჯოს!

— ჩემი რაზმი, — თქვა საჩინომ კმაყოფილებით.

შემოვიდა არჩილ და მეფეს მოახსენა, რაზმი ევლარ შეგვიკავებია, ჩენი ხემწიფე უნდა ენახათო. სვიმონს სიხარულით სახე გაუბნყინდა, ადგომა დააპირა.

— არა, ბატონო, იწვეით, მოახსენა ბარათაშვილმა, მე გავალ ყველაფერს ვეტყვი, მარტო უფროსს კაცებს შემოვიყვან. ხვალ კარგათ იქნებით და ერეგებით.

კოლა ხანს უკან ბარათაშვილი შემოუძღვა მეფესთან რამდენსამე შეიარაღებულ კაცს. მისულეში რომ მიესალმენ მეფეს, იმან ყველას აკოცა. იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ციხისთავმა გაიგო ბარათაშვილის მოსვლა, მიხედა რომ ეს სახეშრო საქმე აღარ იყო, დაიბარა არჩილი, გამოჰყვა სვიმონ მეფესთან, მიართვა ვერცხლის სინით ციხის გასაღება და მოახსენა:

— მომითმევია ციხის გასაღები ახლა თქვენ გემორჩილებათ აღუჯაყალა, რადგან ესრე ჰსურს ირანის მფლობელს დიდებულ ხუდაბანდს.

სვიმონმა აიღო ციხის გასაღები, ისეც, ციხისთავს ვადასცა და უბძანა:

შენთვისავე ჩამიბარებია ციხე! ბეყინვალე ხუდაბანდის ერთგულებს მე ჩემ მომხრეებათ და მეგობრებათ ვთელი. მხოლოთ მოამახლე ორმოცი კაცი, რომ თან გამოამყვენ: შენგან გაწერთილი მხედრობა დიდ სამსახურს გამიწვეს. მერე უბძანა საჩინოს:

— გადაარჩიე შენი რაზმიდან ოცი კაცი, დაუნიშნე უფროსი და ციხისთავს ჩაბარე, რომ მმორჩილებდენ, ამისგან კი შენ ჩამბარე ორმოცი კაცი.

ვ. პარნოვი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წყნეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მეპარეშუქთა პირველი ამხანაგობა ქუთ. გუბერნაში ამით აცხადებს, რომ ეისაც სურს რაიმე საქმე იქონიოს ამხანაგობასთან, ან მხანაგათ ჩაუწეროს. წილის ბარათი მიიღოს, ჰქის თესლი იყიდოს და სხ., უნდა მიმართოს ხონში, ან ქუთაისში მძ. წერეთლების წინის მალახოას, ან კუნში იქაურ ბანკს. ამხანაგობა ყიდის ერთ კოლოფ თესლს (7 მისხალს) სამ მანეთათ. ამხანაგებს, აგრეთვე მათ, ვინც ნაღდ ფულზე ერთათ ათ კოლოფს იყიდის, უფრო იაფათ დაეთმობათ. კოლოფებს ამხანაგობის ბეჭედი აკრავს.

ამხანაგ. მმართველი ნ. წყნეთელი